

შენმოქმედი

შენმოქმედი - სამოქალაქო მოძრაობა ყველა ოჯახისთვის საქართველოში

საქართველო და მსოფლიო გლობალური გამოწვევისა და ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. ეს გამოწვევა ისტორიული მასშტაბისაა და ქვეყნებისგან, მთავრობებისგან, ორგანიზაციებისგან და თითოეული მოქალაქისგან შესაბამის ქმედებებს მოითხოვს. COVID 19-ის პირობებში აღარ არსებობს უმნიშვნელო გადაწყვეტილებები და ლოკალური პასუხისმგებლობები. ბოლო რამდენიმე თვემ გვაჩვენა, რომ ერთი ადამიანის ერთმა მოქმედებამ შეიძლება მთელი სამყარო შეცვალოს და ახალი გამოწვევების დაძლევა მხოლოდ ერთად და ერთობით არის შესაძლებელი.

სექტორი 3 და ფონდი პროდემოსის ინიციატივა „შენმოქმედი“ სამოქალაქო მოძრაობაა, რომელსაც სჯერა, რომ გლობალურ საფრთხესთან გამკლავება საზოგადოების ყველა წევრის, ყველა სექტორის ჩართულობითაა შესაძლებელი.

„მადლიერების ტაშის“ შემდეგ, რომელმაც მთელი საქართველო გააერთიანა, „შენმოქმედი“ 4 ახალი ქმედითი ინიციატივით გამოდის, რომელში ჩართვა შეუძლია ყველას, როგორც მოქალაქეს, ისე ორგანიზაციას, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორს, როგორც სამოქალაქო საზოგადოებას, ისე მედიას - ფინანსური, მატერიალური, ადამიანური თუ ინტელექტუალური რესურსით.

ჩვენ ვვჯერა ერთად და ერთობით ამ გამოწვევებს დაეკლავით!

შენმოქმედი

კომპიუტერი და ინტერნეტი ყველა ოჯახს

დღეს, როცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის სახლში დარჩენა, როცა სკოლა, სამსახური, უნივერსიტეტი, კომუნიკაციები ონლაინ სივრცეში ინაცვლებს, კომპიუტერი და ინტერნეტი ფუფუნება აღარ არის, ისინი სასიცოცხლო აუცილებლობაა.

სამოქალაქო მოძრაობა „შენმოქმედი“ ინიციატივაა გააერთიანოს მოქალაქეები, ორგანიზაციები, სხვადასხვა სექტორები იმისთვის, რომ საქართველოს ყველა ოჯახში არსებობდეს კომპიუტერი და ინტერნეტი - ორი აუცილებელი ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას განათლებასთან, ინფორმაციასთან, გვამღევეს შესაძლებლობას შევინარჩუნოთ კომუნიკაცია ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან და გარესამყაროსთან.

პირველ ეტაპზე, პრიორიტეტი მიენიჭებათ სოციალურად დაუცველ: მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა მშობლებსა და მასწავლებლებს - რათა ხელი შევუწყოთ დისტანციური განათლების პროცესის ხელმისაწვდომობას. შემდეგ, შეგროვილი რესურსის შესაბამისად, გვერდში დავიდგებით ყველას, ვისაც ეს სჭირდება!

ინიციატივაში ჩართვა შეუძლია ნებისმიერ მოქალაქეს, ბიზნესს, არასამთავრობო, საჯარო თუ საერთაშორისო ორგანიზაციას. ჩვენ გვჯერა, რომ ერთად და ერთობით ამას შევძლებთ! შემოგვიერთდი და შენც გახდი შენმოქმედი ჩვენთან ერთად.

თითოეული თქვენგანის თანადგომა, ინტერესი და ჩართულობა გადამწყვეტია!

შენმოქმედი

ინიციატივაში ჩართვისათვის რამდენიმე სუპალება არსებობს:

- I. დაგვეხმარე იმ ახალგაზრდების - ოჯახებისა თუ პედაგოგების იდენტიფიცირებაში, ვისაც კომპიუტერი და ინტერნეტი ყველაზე მეტად სჭირდება დღეს! შეავსეთ [ნომინირების ფორმა](#), გაუწიე რეკომენდაცია მას ვისაც ფიქრობ რომ ყველაზე მეტად სჭირდება მხარდაჭერა.
- II. გახდი #შენმოქმედი, თუ გაქვს ლეპტოპი, ტაბლეტი ან სმარტფონი, რომელიც შეგიძლია მისცე მას ვისაც ეს ძალიან სჭირდება, [შეავსე დონაციის ფორმა](#). შენმოქმედის წარმომადგენლები დაგიკავშირდებიან და დაგეხმარებიან, რომ ეს ნივთი მივაწოდოთ ადრესატებს.
- III. ჩარიცხე ნებისმიერი ოდენობის თანხა, [ფონდი პროდემოსის ანგარიშზე](#) #შენმოქმედის მხარდასაჭერად. ყოველი ლარი მნიშვნელოვანია ამ საერთო დიდი საქმის წარმატებისათვის. შემოწირულობები სრულად დაიხარჯება ტექნიკის შეძენასა და ინტერნეტის გადასახადის დასაფარად.

შენმოქმედი

სწრაფი რეაგირების საგრანტო კონკურსი

სამოქალაქო საზოგადოებისა და მედია ორგანიზაციებისათვის

„შენმოქმედი“ მოქალაქეებისა და ბიზნეს სექტორის გარდა არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების კიდევ უფრო გააქტიურებას და თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს.

სწრაფი რეაგირების საგრანტო კონკურსის მიზანი COVID-19-ის პანდემიის შედეგად შექმნილ ვითარებაში მაქსიმალურად ეფექტიანი და ეფექტური ინიციატივების მხარდაჭერაა, რომელიც მიმართული იქნება არსებული კრიზისის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისა და/ან შემსუბუქებისკენ.

საგრანტო კონკურსის პრიორიტეტული მიმართულებები:

- COVID-19-ის პანდემიის გამო საგანმანათლებლო სფეროში შექმნილი პრობლემების აღმოფხვრა და/ან შემცირება;
- COVID-19-ის პანდემიის გამო შექმნილი სოციალური პრობლემების აღმოფხვრა და/ან შემცირება;
- COVID-19-ის პანდემიის გამო იზოლაციაში ყოფნის დროს არსებული ფსიქოლოგიური და ემოციური პრობლემების აღმოფხვრა და/ან შემცირება;
- ეფექტიანი საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევა/შემცირება
- COVID-19-ის პანდემიის გამო წარმოქმნილი სხვა საზოგადოებრივი პრობლემის აღმოფხვრა, დაძლევა და/ან შემცირება.

მონაწილეების მიღება შეუძლია დარეგისტრირებულ სამოქალაქო საზოგადოებისა (ააიპ) და მედია ორგანიზაციებს. [კონკრეტული წარდგენის ბოლო ვადაა: 10 აპრილი.](#)

საგრანტო კონკურსის განაცხადი და დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ [აქ](#)

შენმოქმედი

ქენწერო - ელექტრონული სწავლებისა და ტრენინგების ქართული პლატფორმა

ონლაინ სწავლება მსოფლიოსა და საქართველოში სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა COVID19-ის პირობებში ამ შესაძლებლობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ერთი მხრივ, უკვე არაერთი უცხოენოვანი პლატფორმა და ლიდერი უმაღლესი სასწავლებელი ადამიანებს ელექტრონულ კურსებს უფასოდ სთავაზობს, მეორე მხრივ კი აუცილებელია ახალი მოდგომები და შესაძლებლობები იმისთვის, რომ ადამიანებმა არსებული ეკონომიკური გამოწვევების პირობებში ადაპტირებისა და დასაქმებისთვის საჭირო ცოდნები და უნარები შეიძინონ.

„შენმოქმედი“ კიდევ ერთი ინიციატივა „ქენწერო“ ინოვაციური ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმაა, რომელიც მოქალაქეებს შესთავაზებს:

- I. მსოფლიო მასშტაბით არსებულ საგანმანათლებლო რესურსებს ქართულ ენაზე*
- II. ახალ რეალობაზე მორგებულ ონლაინ კურსებსა და ტრენინგებს ქართველი და უცხოელი ტრენერების მონაწილეობით.*
- III. შესაბამის საგანმანათლებლო და დასაქმების პერსპექტივებს*
- IV. ონლაინ დისკუსიის შესაძლებლობებს - ვიმსჯელოთ გამოწვევებსა და გადაჭრის გზებზე. ონლაინ კონფერენციების ციკლი ამაში დაგვეხმარება.*

ოთხივე კომპონენტში ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ბიზნესის, აკადემიის, პროფესიული წრეების, Think Tank-ების საჯარო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობა.

დარჩი სახლში და გამოიყენე ეს დრო ნაყოფიერად: საკუთარი უნარჩვევების განვითარების, ახალი ცოდნის შეძენისა და საკუთარი გამოცდილების გაზიარებისათვის.

შენმოქმედი

GAME OF HOMES

თვითიზოლაციური თამაშები სახლში დარჩენის წასახლისებლად

COVID 19-ის პირობებში ორ მნიშვნელოვანი გამოწვევა ადამიანების სახლში დარჩენის მოტივირება და მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის შემცირებაა. #დარჩისაღწევა კამპანიასთან ერთად მნიშვნელოვანია ადამიანებს შევთავაზოთ კონკრეტული გადაწყვეტები რომლებიც მათი იზოლაციის პროცესს გაამარტივებს და კომფორტულს გახდის. გარდა ამისა, საჭიროა ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა და წახალისება

უკვე არსებობს არაერთი გადაწყვეტა, რომელიც სასწავლო და სამუშაო პროცესს ამარტივებს, თუმცა მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწავლასთან და მუშაობასთან ერთად ადამიანებს თავისუფალი დროის გატარება, ერთმანეთთან ინტერაქცია და გართობაც სჭირდებათ.

„შენმოქმედი“ კიდევ ერთი ინიციატივა Game of Homes არასამთავრობო ორგანიზაცია დემოკრატიის ლაბორატორიასა და კომუნიკაციების კომპანია კრაკენტან ერთად ხორციელდება და ამ ორი გამოწვევის დასაძლევად მიმართულია. Game of Homes ფეისბუქის ჯგუფია, რომელიც მის წევრებს სახლის პირობებში ყოველდღიურ გამოწვევებს, თამაშებს, გართობის სხვადასხვა ხერხსა და შესაბამის პრიზებს სთავაზობს. გარდა ამისა, მცირე ბიზნესს, რომელიც ყოველდღიურ პრიზებს აწესებს პროექტი ეხმარება გაყიდვების სტიმულირებასა და საკუთარი პროდუქციის რეკლამირებაში.

Game of Homes-ში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ადამიანს, ვისაც აქვს ფეისბუქი, ინტერნეტი, მაღალი პასუხისმგებლობა და სახლში დარჩენის გახალისების სურვილი. ასევე ნებისმიერ ბიზნესს, ვინც პროექტის მიზნებსა და ღირებულებებში საკუთარ წვლილს დაინახავს.

შემოგვიერთდი და შენც გახდი შენმოქმედი ჩვენთან ერთად. ჩაერთე, გაერთე და დაეხმარე სხვებს.

ინიციატივაში ჩართვისთვის შეგიძლიათ დაემატოთ ჯგუფში [Game of Homes](#)